**АО „ТЕЛАСИ“** **სს „თელასი“**

ნომერი: 0222/355

თარიღი: 22/02/2016

შემ. N 1933/01
23.02.16
2 ფურც.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისის აღმასრულებელ
დირექტორს ბ.ნ. ზურაბ გაბელაიას
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისის
თავმჯდომარეს ქ.ნ. ირინა მილორავას

ბატონო ზურაბ

თქვენი 15.02.2016 წლის #6/08-6/217-1256 (თელასის #0216/020) წერილის პასუხად, რომელიც შეეხება სს "თელასის" მომხმარებელთა ელექტროენერგიით მომარაგების საიმედოობის მაჩვენებლებს, გაცნობებთ, რომ 2015 წლის მაჩვენებლები 2014 და 2013 წლის რეალურ მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილი არაა, პირიქით ნაკლებია. ჩვენს მიერ 2014 და 2013 წარმოდგენილ ანგარიშებში გეგმიური და არაგეგმიური წყვეტების დროს გამანაწილებელი ქსელიდან გამორთული მომხმარებლების რაოდენობა იანგარიშებოდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 4 ივნისის #9 დადგენილების მუხლი-10 პუნქტი 2-ბ შესაბამისად, რაც რეალური რაოდენობისაგან განსხვავდება, აღნიშნული განსხვავება შემჩნეული იქნა 2015 წლის ანალოგიური ანგარიშების მომზადებისას, სადაც მას შემდეგ რაც „ბილინგისა“ და „გისის“ სისტემის დაკავშირების შემდგომ შესაძლებელი გახდა გამანაწილებელი ქსელიდან გამორთული მომხმარებლების ზუსტი რაოდენობის დაფიქსირება. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ გადაანგარიშებული იქნა 2013 და 2014 წლის მაჩვენებლები, საიდანაც ნათლად ჩანს „SAIDI“-ის „SAIFI“-ის მაჩვენებლების საგრძნობი კლება და არა ზრდა.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში კიდევ ერთხელ გაწვდით ინფორმაციას „SAIDI“-ის „SAIFI“-ის მაჩვენებლების შესახებ, რომელთა გაანგარიშებაც შესრულებულია 2013, 2014 და 2015 წლების ჭრილში, პირველი ვარიანტი - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 4 ივნისის #9 დადგენილების მუხლი-10

საქართველო, თბილისი, 0119 ვანის ქ.3
Грузия, Тбилиси 0119, ул. Ванская 3
Тел.. +995 (32) 277 99 99; Факс: +995 (32) 277 99 81
www.telasi.ge

პუნქტი 2-ბ შესაბამისად და მეორე ვარიანტი - სს „თელასის: „ბილინგისა" და „გისის" სისტემის დაკავშირების შემდგომ გამანაწილებელი ქსელიდან გამორთული მომხმარებლების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრის შესაბამისად.

| წელი | მიზეზი | პირველი ვარიანტი | | მეორე ვარიანტი | |
|---|---|---|---|---|---|
| | | SAIDI | SAIFI | SAIDI | SAIFI |
| **2013** | გარე | 86.17 | 1.843 | 2659.67 | 18.957 |
| | შიდა არაგეგმიური | 132.15 | 1.411 | 700.57 | 7.527 |
| | შიდა გეგმიური | 134.35 | 0.835 | 520.29 | 3.939 |
| | სულ | **352.67** | **4.089** | **3880.54** | **30.423** |
| **2014** | გარე | 270.44 | 3.234 | 703.57 | 13.477 |
| | შიდა არაგეგმიური | 89.72 | 1.166 | 487.50 | 6.851 |
| | შიდა გეგმიური | 125.97 | 0.815 | 332.46 | 1.918 |
| | სულ | **486.13** | **5.215** | **1523.54** | **22.246** |
| **2015** | გარე | 67.10 | 1.561 | 257.76 | 6.358 |
| | შიდა არაგეგმიური | 70.01 | 1.080 | 323.83 | 5.897 |
| | შიდა გეგმიური | 145.73 | 0.960 | 393.06 | 2.056 |
| | სულ | **282.83** | **3.601** | **974.65** | **14.311** |

აღნიშნული ანგარიში გადმოგზავნილი გვაქვს თქვენთან და ეს საკითხიც დეტალურად იქნა გავლილი თქვენს შესაბამის სამსახურებთან.

სს „თელასის" გენერალური დირექტორი

ს. ნ. კობცევი

მოამზადა:

ქსელის განვითარების, საწარმოო

ტექნიკური მდგომარეობისა და

ანალიზის სამსახურის უფროსი

თ. გამრეკელაშვილი